



ART



FACE

ქურნალი №2 მარტი 2010

3 ან 5 ლარი

ნახატები - მისი სულის პროექცია

ნინო მორბედაძეს სახლში ვესტუმრე. მზეზე უთბილესი თვალებითა და ბავშვობასავით გულწრფელი ღიმილით მიმიღო. ბუნებას მისთვის უხვად მიუმაღლებია მრავალი ამქვეყნიური სიკეთე. ლამაზი, ჰაეროვანი, სწორნაკეთოვანი, არისტოკრატიულად დახვეწილი, სანდომიანი ქალბატონი იდუმალებით მოცული ნახატების გარემოცვაში დამხვდა. გამაოცა მისი ტილოების იდეალურმა კომპოზიციამ, მკაცრმა სიმეტრიამ, ჰარმონიამ, სიღრმემ და სიზუსტემ. ნინოს ტილოები უსიტყვოდ საუბრობენ ქალის მშვენიერებაზე, მამაკაცის ძლიერებაზე, ცისა და მიწის მომხიბვლელობაზე. ეს არის სინამდვილისი ფრაგმენტები ცოცხალ, ისეთივე მრავალფეროვანი, როგორც თავად ცხოვრება...


ნინო მორბედაძე: ორი წლიდან ვხატავ. დედაჩემი დღემდე ინახავს ჩემს პირველ ნამუშევრებს. ხატვაზე არასდროს მივლია, მაგრამ მამა არქიტექტორი მყავდა, დედა – კერამიკოსი, ძმა – მხატვარი. ალბათ, დიდი როლი ითამაშა გენეტიკამაც. არასდროს მიფიქრია, ვინ შეიძლება გამოსულიყავი. ყოველთვის ვიცოდი, რომ მხატვარი ვიქნებოდი. ეს ჩემშია მას შემდეგ, რაც ვარსებობ.

ბავშვობიდან მოყოლებული, მხოლოდ მაშინ ვხატავ, როცა ჩემს ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, გონებაში ილექება და, ოდნავ მოგვიანებით, ამ მოვლენასთან დაკავშირებული განწყობა ტილოზე გადამაქვს. თუ არ გაქვს შინაგანი მარაგი და მარტო იმას ხატავ, რასაც ხედავ, ყველა ნახატი ბრტყელი გამოდის. ძალიან ხშირად, საკუთარ ნამუშევრებში ჩემივე სულის ისეთ ხვეულს აღმოვაჩენ-ხოლმე, მეც რომ არ ვიცოდი მანამდე.



თუმცა, არის პერიოდები, როცა შეიძლება არ ვხატავდე, ტექნიკურად ხელიც გადაჩვეული მქონდეს, მაგრამ ყველა ფაქტს, მოვლენას, გამვლელს სხვა თვალთა ალვიქვამ, ქვეცნობიერად ვიმახსოვრებ. ვფიქრობ, ყველა „რელსებზე“ შემდგარი მხატვარი ასეა. ჩემს ნამუშევრებს ვერცერთ კონკრეტულ მიმდინარეობას ვერ მივაკუთვნებ, ეს ჩემი დამოკიდებულებაა, ჩემი სულის პროექცია. პარალელურად, ვასწავლი ხატვას, რაც ისეთსავე სიამოვნებას მანიჭებს, როგორსაც ხატვა. მეორე წელია, მეგობართან – გივი ნონიკაშვილთან ერთად, სამხატვრო სტუდია გავხსენი ხატვის მოყვარულთათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად ვასწავლით აკადემიურ ხატვას, რაც სჭირდებათ, უნდათ და შეუძლიათ. სამომავლოდ, სამხატვრო სკოლის გაკეთებასაც ვაპირებთ. ვთანამშრომლობთ Art Villa გარიყულასთან, ყარამან ქუთათელაძესთან. პირველი პერსონალური გამოფენა 1984 წელს ფილარმონიის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში მქონდა, 1991 წელს – პიცბურგში, ცოტა მოგვიანებით – ბაზელში. გმონანილეობ ჯგუფურ პროექტებსა და გამოფენებში. ვარ რამდენიმე ფილმის დამდგმელი მხატვარი, მათ შორის – „დაბადების დღე“ (ბ. გიორგობიანი), „გზაზე“ (მ. კობახიძე), „ეს დღე რომ არ ყოფილიყო“ (ხ. გიორგობიანი) და „წლე“ (ნ. მანაგაძე).

ეკა ხორგუანი



PAINING IS PROJECTION OF HER SOUL

I visited Nino Morbedadze at her home. She met me with the eyes warmer than the sun and the smile as sincere as childhood. Nature granted her with this world kindness abundantly. She is a beautiful, aereal, with straight features, aristocratically refined, comely lady. I met her surrounded by mysterious paintings. I was surprised at ideal composition of her canvas, severe symmetry, harmony, intensity and exactness. Nino's paintings express a woman's beauty, a man's strength, fascination of the sky and the earth. These are fragments of ever-living reality, so diverse as life is.

Nino Morbedadze: I have been painting since I was two years old. My mother still keeps my first works. I have never taken any painting lessons, but my father was an architect, mother is a ceramics designer, brother – a painter. Maybe genetics played its role. I have never thought what I might be. I always new that I would become a painter. It is in me since my existence.

From the very childhood I paint only when something very important happens in my life; it is in my mind and a bit later I put my mood connected with that event on the canvas. If you have not got inner resources and you paint only what you see, all paintings become flat. I very often find out such spiritual twists in my paintings that I had not known before.

Though, there are the periods of time when I do not paint, my hand is technically grown out of the habit of drawing, but I perceive all the facts, events, passers-by with different eyes, I remember them subconsciously. I think most of genuine painters are like this. I cannot attribute my paintings to any trend, it is my attitude, projection of my soul. I teach painting that gives me the same pleasure as the process of its creation. It is the second year as I opened a painting studio for those who are fond of it together with a friend of mine Givi Nonikashvili. We teach academic painting individually, we give our students what they need, what they want and what they are able to do. We are going to found a painting school in future and collaborate with Art Villa Garikula (Karaman Kutateladze).

In 1984, I had my first personal exhibition in the Young Scientists' Club of Philharmony. In 1991, my works were exhibited in Pitsburg, a bit later – in Basel. I participate in group projects and different exhibitions. I am a producing painter of several films, among which are "A birthday" (B. Giorgobiani), "On the road" (M. Kobakhidze), "If not this day" (S. Giorgobiani) and "Noah" (N. Managadze).

EKA KHORGUANI

